იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ახლახან გადაიტანეს მძიმე დაავადება, ოპერაცია ან მკურნალობდნენ საავადმყოფოში

რა უნდა იცოდეთ სეფსისის შესახებ

ძირითადი საკითხები

- **ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს ინფექცია და თითქმის ნებისმიერმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს სეფსისი.** ზოგიერთ ადამიანს სეფსისის მაღალი რისკი აქვს, მათ შორის ადამიანებს, რომელთაც ცოტა ხნის წინ გადაიტანეს მძიმე დაავადება, ოპერაცია ან მკურნალობდნენ საავადმყოფოში.
- **ყოველწლიურად, მოზრდილებში სეფსისის შემთხვევების 10-15% საავადმყოფოში იწყება.**

სეფსისი არის ორგანიზმის ექსტრემალური რეაქცია ინფექციაზე. ეს არის სიცოცხლისთვის საშიში სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევა.



თუ ოპერაციას გიკეთებენ

ოპერაციამდე

- **მოერიდეთ საოპერაციო ველის გაპარსვას.** საპარსმა შეიძლება გააღიზიანოს კანი და გააადვილოს ინფექციის განვითარება. თუ ვინმე ოპერაციამდე თქვენს გაპარსვას შეეცდება, ჰკითხეთ, რატომ არის ეს აუცილებელი.
- **განიხილეთ ექიმთან ნებისმიერი ქრონიკული დაავადება,** რომელიც შეიძლება გქონდეთ, როგორიცაა დიაბეტი, ფილტვების დაავადება, კიბო და თირკმლების დაავადება. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს ოპერაციასა და მკურნალობაზე.
- **მიჰყევით ექიმის მითითებებს ოპერაციამდე კანის გაწმენდის შესახებ.** მაგალითად, თუ ექიმი გირჩევთ ოპერაციამდე სპეციალური საპნის გამოყენებას, აუცილებლად გააკეთეთ ეს.
- **გაიკეთეთ რეკომენდებული ვაქცინები.** ვაქცინებს შეუძლიათ თავიდან აგაცილონ ან შეამცირონ სეფსისის გამომწვევი ზოგიერთი ინფექციის სიმძიმე.
- **დაანებეთ თავი მოწევას.** მწეველ პაციენტებს ინფექციების უფრო მაღალი რისკი აქვთ.

ოპერაციის შემდეგ

- **ყოველთვის დაიბანეთ ხელები** ჭრილობის დამუშავებამდე და შემდეგ
- **თხოვეთ ოჯახის წევრებს და მეგობრებს, დაიბანონ ხელები** თქვენს მონახულებამდე და შემდეგ
- **არ მისცეთ უფლება მნახველებს შეეხონ** ნაოპერაციებ მიდამოს ან სახვევებს
- **დარწმუნდით, რომ იცით, ვის უნდა მიმართოთ** კითხვების ან პრობლემების არსებობისას სახლში დაბრუნების შემდეგ
- **ინფექციის ნებისმიერი ნიშნების ან სიმპტომების გაჩენისას იმოქმედეთ სწრაფად.** დაუყოვნებლივ დაურეკეთ მკურნალს და კითხეთ, უნდა მიმართოთ თუ არა გადაუდებელი დახმარების განყოფილებას.
- **თხოვეთ სამედიცინო პერსონალს ჩაიტარონ ხელის ჰიგიენა** ჭრილობის დათვალიერების ან შემოწმების წინ.
- **იკითხეთ სამედიცინო პერსონალთან,** შეიძლება თუ არა ადგეთ ან გაიაროთ.
- **იცოდეთ სეფსისის ნიშნები და სიმპტომები.** სეფსისის დროს ადამიანს აქვს ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ერთი ან რამდენიმე.
- **გაეცანით გაწერის და ჭრილობის მოვლის ინსტრუქციებს** სანამ დატოვებთ სამედიცინო დაწესებულებას. შეინარჩუნეთ დაზიანების, ქირურგიული ჭრილობის მიდამოს ან სახვევის სისუფთავე სრულ შეხორცებამდე.

იცოდეთ სეფსისის სიმპტომები

სეფსისის მქონე ადამიანს შეიძლება აღენიშნებოდეს შემდეგი სიმპტომებიდან ერთი ან რამდენიმე:

ნოტიო ან წებოვანი კანი

ძლიერი ტკივილი ან დისკომფორტი

გახშირებული გულისცემა
დაბალი არტერიული წნევა

გონების უეცარი დაბინდვა

გამონადენი ქირურგიული ჩარევის მიდამოდან

ცხელება, შემცივნება ან ძლიერი სიცივის შეგრძნება

ქირურგიული ჩარევის მიდამოს ან საავადმყოფოში ხანგრძლივიდაყოვნებისას კანის დაზიანებული ადგილის შეშუპება, სიწითლე ან მტკივნეულობა

ქოშინი

სეფსისზე ერთი ნაბიჯით წინ

იცოდე რისკები.
ამოიცანი ნიშნები.
იმოქმედე სწრაფად.

შეიტყვეთ მეტი
cdc.gov/sepsis